№ 227 ოქტომბერი 26, პარასკევი 1890 ოქტომბერი 26, პარასკევი № 227


გაზეთის ფასი

| თუმ. | მან. კ. | თუმ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში-სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 30 ოქტომბერს, ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**მსხვერპლი უხასიათობისა**

დრამ. 4 მოქმედ. გად. მ. ნასიძისაგან.

II

**ადვოკატთან**

ვოდევ. 1 მოქ. გუნიასი.

**მოთამაშენი:** ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა, ავალიშვილისა, საფაროვისა, გარსევანიშვილისა, ციციშვილისა, ტარიელოვისა: ბ ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათიროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ბ-ნნი წევრნი კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისანი მიწვეულნი არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც მოხდება შაბათს, 27 ამ ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმომდინარე საქმეები;

2) მოხსენება კ. გორბიჩევისა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია კავკასიაში აბრეშუმის კეთებისა და მოვლის საქმე

არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ ამ კრებას.

**დ. ი. კეზელი**

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—16)


## ახალი ამბავი

** დღეს, პარასკევს, საღამოს 7 საათზე, მოხდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობის სხდომა საპრემიოთ წარმოდგენილ პიესების წასაკითხავად მოწვეულთ პირთ დასწრებით. ამავე სხდომაზე არჩეული იქნება მმართველობის თავმჯდომარის ამხანაგი, განსვენებულ დავ. ერისთავის მაგიერი.

** ოთხშაბათს, ამ თვის 24, საღამოს რვა საათზე, რენკვისტის თუჯის ქარხნის ახლოს ალექსანდროვის ქუჩაზე ბ-ნ ხუნდაძეს სახლში ტფილისის მოქალაქემ სტეფან საველიევმა მოჰკლა ვიღაცა მატრენა გორკოვასი. ამ ქალს ხუნდაძეს სახლში ერთი ოთახი ეჭირა და მასთან დაიარებოდა ხოლმე საველიევი: ამას გარდა მასთან სცხოვრობდნენ ორნი სხვანიცა, რომელთაც სადილსა და ვახშამს უკეთებდა. ამ დღეს საველიევი თავისის ამხანაგით, რომელიც მასთანვე ბ-ნ რენკვისტის ქარხანაში მუშაობდა, ნასვამი მისულა გორკოვასთან და დაუწყია ხუმრობა. საველიევის ამხანაგი მალე წასულა და საველიევს სახლში მყოფ ორ ყმაწვილ შეგირდისათვის უთხოვნია, კარში გადით, მე ამ ქალთან საქმე მაქვსო. როდესაც ესენი გასულან ოთახიდგან, საველიევი თურმე კიდევ ეხუმრებოდა გორკოვას და დიდს ბებუთს სცემდა ხელში პრტყლად. შემდეგ რაღაზედაც განრისხებული მივარდნია საბრალო ქალსა და ბებუთი ისე ძლიერ დაურტყავს მარცხენა მხარში, რომ ტარამდე ჩაუყვანია და გადუჭრია ფილტვები, ჯიგარი და გულიც. ქალი მაშინვე გადავარდნილა გულ-წასული. საველიევი-კი წასულა პოლიციაში და გამოუცხადებია, რომ მატრენა გორკოვა მოვკალიო. პოლიციამ მაშინვე შეიპყრა მკვლელი და გაეშურა გორკოვას სახლში. დაჭრილი ქალი კიდევ სუნთქავდა. მაშინვე ეტლში ჩასვეს ა ქალაქის სამკურნალოში გაჰგზავნეს, მაგრამ საბრალო ქალმა გზაზედვე დალია სული.

** ჩვენ სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ ტფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს, სადაც ჯერ არს, გორის მაზრის საბოქაულოების შეცვლას. ტყვიავის საბოქაულოს მაგიერ დაწესდება მეჯვრისხევისა, ბინაც, ბოქაულს ექნება სოფ. დიდმეჯვრისხევში. ბორჯომის საბოქაულოს მიუმატებენ ქვიშხეთის სამამასახლისოს, ქარელისა და ხცისის სამამასახლისოებს მიუმატებენ ახალქალაქისას; ბოქაულის ბინა იქნება სოფ. ხიდისთავში. სურამის ბოქაულის ბინა იქნება სოფ. ხაშურში. ამასთანავე საჭიროდ უცვნიათ, რომ ერთი საქმის მწარმოებელი თიანეთის მაზრის სამმართველოდგან გადაყვანილ იქმნას გორის მაზრის სამმართველოში, რადგან ამ უკანასკნელში იმდენი საქმეა, რომ ორი საქმის მწარმოებელი ვერ ასდის.

** ჩვენ მოგვივიდა განჯიდამ ბ ნ მირიანაშვილისაგან „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ გარდასაცემად სამი ხელ-ნაწერი წიგნი:

1. გრძემლი (სიტყვის გება ლათინთა მიმართ) ბესარიონ ხუცეს-მონაზონის მიერ, შემდეგ კათალიკოზისა.

2. მცირე სჯულს-კანონნი ქმნილი ანჩის ხატის დეკანოზის გიორგის ხელითა.

3. სწავლანი წიგნთაგან წმინდათა მამათა რჩევით გამოკრებულნი (ეტრატზე).

** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ა. ჩაიკოვსკი სიღნაღში წავიდა იქაურ სამაზრო სამმართველოს სარევიზიოდ და არა თელავში, როგორც შეცდომით გვქონდა მოხსენებული ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში.

** **ჭაგჭაგი:** 19 ოქტომბერს შეუსრულდა 35 წელიწადი მღვდლად სამსახურისა აქაურ საკრებულო ტაძრის დეკანოზს მამა იოილ სამადოევს. ტაძრის სამღვდელოთა კრებულმა მიულოცა მამა დეკანოზს ამდენის ხნის სამსახური და მიუძღვნა ხატი მაცხოვრისა.

** **ზარის ოსეთი:** ერთხანად დაადგინეს აქეთ განაჩენები, როგორც ქურდობისა, ისე ურვათისა, ქელეხისა და წირვების შესახებ. გადაწყვეტილი იყო, რომ ქურდები გაეცათ, ურვათი არ ელოთ ქორწილებში, წირვები და ქელეხები არ ემართათ. მაგრამ გაეიდა პატარა ხანი და რჯულთ უმტკიცესმა ჩვეულებამ ისევ თავისი გაიტანა. ხალხი კვლავ მიიქცია ძველს რჯულზედ. ხოლო სინამ განაჩენები ძალაში იყო, მიშინაც ცდილობდნენ არ დაეცვათ თავიანთ ნებითვე დადგენილი წესი და რიგი.

** **სიღნაღი:** არ იქნა, არა ეშველა-რა ჩვენს გზებსა და ქუჩებს. სულ რაღაც ორი ქუჩა გვაქვს და ისიც ისეთს უბედურს მდგომარეობაშია, რომ წვიმა-ავდარის დროს ყოვლად შეუძლებელია ზედ გავლა. არც არხები აქვს აქეთ-იქით, რომ წყალს გზა მიეცეს და არც სხვა არაფერი. მოსქდება ხოლმე ნიაღვარი და ეზოებს მოედება. ახე გასინჯეთ ერთი პატარა ფიცრის ჩამტვრეული ბოგირია და იმის შეკეთებაც ვერ მოგვიხერხებია. ამას წინად ერთს მგზავრს ცხენი ჩაეჩეჭა ამ ბოგირზე და თუ იქვე ხალხი არ შესწრებოდა, უბედურება რამ დატრიალდებოდა. ნეტა დიდი საქმე მაინც რამ იყოს ამ ბოგირის შეკეთება: სულ ოციოდე მანათი არ დასჭირდება.

** **ს. ახმეტა (კახეთი):** ახმეტაში გლეხ-კაცობა ძალიან და ძალიან ღარიბად არის. ყოველი ამათი საცხოვრებელი და ქონება ორიოდე ვაჭრისა და ჩარჩის ხელშია. დალუპვით ილუპება სოფელი და პატრონი და გულ-შემატკივარი-კი არსადა სჩანს.

## ფელეტონი

### ყოველ თთვიური პროვინციელისა

(გურია)

სექტემბერი და ოქტომბერი.

რომ დამეჯერებინა ჩემის თავისათვის, შემეფურთხებინა ეშმაკისათვისა და ჩემდა საჭირ-ბოროტოდ, ჩემდა მოსვენების დასაკარგავად და ძილის დასაფრთხობად არ დამეწყო ამ გაორთვეობულის „ყოველ თთვიურის“ ჯღაბნა, ხომ კარგი იქნებოდა ერთის მხრით ჩემთვის, რადგანაც ავშორდებოდი ერთა ვაი-ვაგლახს, ერთს ჭაპანწყვეტასა და ჭირის ოფლის ღვრას, რასაც ყოველის წერილის დაწერა შემამთხვევს ხოლმე, და მეორეს მხრით ურიგო არც მკითხველთათვის იქნებოდა, ვგონებ, რადგანაც ჩემის ნაწერის წაკითხვისათვის დასაკარგ დროს რაიმე სხვა საქმეს მოახმარებდნენ. ეხლა-კი სხვაა. მე, მინდა თუ არა, უნდა ვსწერო და თქვენ-კი, ფას-დაუდებელნო მკითხველნო, გინდათ თუ არა, უნდა იკითხოთ! დიაღ, უნდა ვწერო! მაგრამ რაღა ჯანდაბა ვწერო? დარაბდის გამო წერა მეხერხებოდა და კარგიც იყო; არც არა ყაჩაღთა გამო ლაპარაკს უშავდა-რა. მაგრამ ორივე ეს საგანი, სამართლით იყო თუ უსამართლობით, ბ-ნმა თეოფანე კალანდარიშვილმა დაისაკუთრა და მე-კი რიყეზედ დავრჩი.

დარჩიას გამო, რომ „შიშითა და ძრწოლით“ ლაპარაკობდეს ბ-ნი კალანდარიშვილი არ გაიმტყუნება, რადგანაც დარჩიას თავისუფალი ნავარდი და თარეში ვერავითარმა ღონემ ვერ შეჰხარა; ხოლო შიში იმის გამო, რომ ხელ-ფეხ ბორკილიანი დათუნაიშვილი რუსეთში გაიქცევა და გურიას დააქცევსო, უსაბუთოა, ტყუილი შიშია.

მაგრამ რაღა მარტო დათუნაიშვილი, ვიღაც ბოლქვაძესაც თურმე განუზრახავს, არიოს უიმისოდაც დაუწყნარებელ-დაუმშვიდებელი ჩვენი ცხოვრება. თუ მართლა ბოლქვაძე დარჩიამ გაიამხანაგა, რასაკვირველია, იგივე გამეორდება ჩვენში, რაც ამ ორის წლის წინად იყო და ხომ დავიღუპეთ, ხომ ამოვვარდით და მოვითხარეთ! მერე ვინ იქნება ამაში დანაშაული? ბ-ნ კალანდარიშვილის წერილს თუ დავუჯერებთ, ამაში ბრალი დაედება ყოვლის უწინარეს მამასახლისს, რომელსაც პირ-და-პირ თავის განკარგულებით, სხვის დაუკითხავად და ნება-დაურთველად შეეძლო ბოლქვაძის დაჭერა მაშინ, როდესაც ეს ბატონი არხეინად დადიოდა ნაცნობთა შორის სადარბაზოდ. რა საჭირო იყო ამ შემთხვევაში ყოყმანი, როცა მამასახლისმა ნამდვილად იცოდა, რომ ბოლქვაძე თავის ნებით იყო წამოსული რუსეთიდამ. ხომ ყველა მამასახლისმა კარგად იცის, რომ არავითარი უცხო კაცი უბილეთოდ არ უნდა გააჭაჭანონ თავის საზოგადოებაში, არამედ ასეთი საეჭვო კაცნი უნდა შეიპყრან და წარუდგინონ მთავრობას. თუ ეს ასეა, ბოლქვაძე რაღა სასწაულმა იპატივა. სასჯელის გადასახდელად რუსეთში გაგზავნილი კაცი ანაზდად თავის სოფელში გამოჩნდება, ისე რომ არავითარი საბუთი ამის შესახებ ხელში არ უჭირავს და მამასახლისი ყოველსავე ამას ხედავს, ყოველივე ეს იცის, იცის იმ კაცის წარსული და საეჭვო აწმყო და იმის ნაცვლად, რომ დაუყოვნებლივ გაბაწროს და მთავრობას ჩაუგდოს ხელში, ადგება და მაზრის მმართველს მოხსენებას სწერს, ასე და ასეა საქმე და რას მიბრძანებთო. ბ-ნი მაზრის მმართველი ამ ამბის გამო სამართლიანის გულის-წყრომით შეშფოთებული, აქეთ ეცემა, იქით ეცემა, შეიქნება ერთი ფაცა-ფუცი და ჩოჩქოლი. ამასობაში ბოლქვაძეც შეიტყობს, რომ კარგი დღე არ დამადგებაო და თავს უშველის.

ამ შემთხვევაში მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ აქ საქმე მამასახლისს აუჩქარებლობით მოეცარა და მისს ხელ-ზევითს-კი აჩქარებით. მამასახლისს უნდა ემოქმედნა სისწრაფით, ერთბაშად, სანამ ბოლქვაძე თავის საიდუმლოს ვისმეს გაუმხელდა და ქომაგს იშოვიდა; და რა-კი მამასახლისი ასე არ მოიქცა, მისი ხელ-ზევითი ვალდებული იყო, სიწყნარე და თანდათანობა ეხმარა ამ საქმეში და უსათუოდ გაიმარჯვებდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენში თავის თანამდებობას ყველანი თავისებურად ეკიდებიან და ეს არის მიზეზი, რომ თუ ბევრჯელ გვიკეთდება საქმე, ბევრჯელ გვიფუჭდება კიდეც.

როგორ ფიქრობთ? განა დარჩიას ამდენ ხანს ვერ შეიპყრობდნენ, რომ ჩვენ შორის ერთობა არსებობდეს და თავისებურობას ადგილი არა ჰქონდეს. საქმეც იმაშია, რომ ერთობილის ძალით არ ვმოქმედობთ, არამედ დაქსაქსულად, დანაწილევულად და ამიტომაც არის, რომ დარჩია ყველას ერთად და თითოეულს ცალკცალკე „ანასუნსა“ და „აბრაგიდელს“ გვაყრის თავზე.

უნდა მოგვეხსენებოდეთ, რომ დარჩია ათას სხვა და-სხვა ნაირ ორდენად არის დაფასებული იმის მიხედვით, თუ რა „ჩინისა“ და სამსახურის კაცი ჩაიგდებს ხელში. ამის გამო ჩვენში, ყველას ცალკე ჰსურს, ყველა ცალკე ცდილობს, დარჩია ჩაიგდოს ხელში და ჯილდოც საკუთრად მიიღოს ისე, რომ სხვას იმაში არავითარი წილი არ ედოს. სადაც ასე დაქვეითებულია ერთობა საზოგადო საქმეში, სადაც ასე დაწვრიმალებულია ერთგულობა თავის მოვალეობის მიმართ, სადაც ასე გათახსირებულია სახელი ქველობისა, იქ, რასაკვირველია, დათრგუნვა ბოროტებისა და ძლევა-მოსილება სიავის წინაამდეგ ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად წარმოუდგენელია.

**

მაგრამ რა არ არის ჩვენში გათახსირებული და დაქვეითებული! უეჭველია წაიკითხავდით „ივერიის“ მე-213 №-ში მოქცეულს ბ-ნ ლეოს წერილს. ბ-ნი ლეო დიდად დანაღვლიანებული, დიდად დამწარებული მოგვითხრობს, რომ ჩვენის ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც „წმიდა-წმიდათა“ გვგონია, რომელიც უმანკოებისა და უზაკველობის ტაძრად წარმოგვიდგენია, რომელიც ჩვენის ზნეობრივისა და სარწმუნოებრივის კეთილდღეობის დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ოქტომბერს იყო არჩევანები ახალის მოხელეებისა. არჩევანებზე დაესწრო მომრიგებელი შუა-კაცი თელავისა და თიანეთის მაზრისა, რომელმაც შესაფერი დარიგება მისცა ხალხს და ურჩია რიგიანი და პატიოსანი კაცი ამოირჩიეთ მამასახლისადაო. ხალხმა ერთხმად ინდომა მიხეილ კობაშვილი, ახმეტელიევე მემამულე. თუ გვიშველის, ის გვიშველის, სხვა ვერავინაო. ვნახოთ, როგორ არგებს ახალი მამასახლისი ჩვენს მეტად გალარიბებულს, ვალებით სულ-ამოხუთულსა და მეტად გათახსირებულს სოფელს.

*** ს. მეჯრუხეთი: აგერ თითქმის ხუთი დღე, თუ ერთი კვირა იქნება, რაც მეჯრუხევს ახლოს ორგან უკიდია ტყეს ცეცხლი და პატრონი-კი არავინ არის, რომ მის გასაქრობლად შეიტკივოს თავი. მეჯრუხეველებს ტყე აქვთ მეჯრუხევის პირში. წინად უმშვენიერესი ტყე ყოფილა, ეხლა-კი, სიხარბითა და ურიგო ხარჯვით, ისეა გამოლეული, რომ ფიჩხიც-კი აღარ მოიჭრება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სარგებლობაში იყვნენ მცხოვრებლები, ეხლა ისე გაგულგრილდნენ, რომ ხმასაც არა სცემენ ზოგს, რომელნიც იმის მიხედვით, რომ ჩემი მამული ამდენ და ამდენ ტყეს გაიტანს პირდაპირო, მიჰყოლიან, სჩეხავენ ძირიანად, სწვავენ, ხნავენ და მეორე წელიწადს იჩემებენ სოფლის კუთვნილს მამულს. იმდენი ვერ შეუგნიათ აქაურებს, რომ, თუ შეშა და ფიჩხი ვერ გამოგვაქს, სახნავად მაინც გამოვიყენოთ, რათ ვუნარჩუნებთ მთელის სოფლის ქონებას თითო ოროლა კაცს. დიდი რამ-კი არ არის ამ საქმის გაკეთება. მამასახლისი შეჰკრებავს ერთს დღეს ხალხს; ხალხი გადასწყვეტს, რომ დაეშალოს თითოეულს კერძო კაცს ადგილის მითვისება, ისიც წაერთვათ, თუ ვის რაც მიუთვისნიაო, და მორჩა და გათავდა. იმისი არ იყოს, მოიკრიფება თუ არა ვენახები და მშვიდობით... ვენახებში შეუშვებენ რაც საქონელი ჰყავთ და აოხრებენ მთლად ვენახებს: ვაზს წამოსდებს კამეჩი ფეხსა და ძირიანად ამოაგდებს, ან შუა შუა ლეწავს, რის გამოც ბევრი საწიდნი ვაზი ფუჭდება, სარი ზედ შუაზედ ილეწება, ლობეები აღარა რჩება და თუ მეტადრე წვიმა-ტალახია, ალაგი სამამულედ ოხრდება. ამას მოსდევს ლანძღვა-გინება, ცემა, საქონლის ჩეხა და ათასი სხვა უბედურება. მამასახლისი, მოხელე რომ მოინდომებდნენ, ერთს დღეს მოიყრიან თავს ერთად და რაიმე საკანონოს დააწესებდნენ ცხენზედ, ხარზედ და საზოგადოდ საქონელზედ, თუ იგი ვენახში გადავიდოდა. რაკი საკანონო იქნება, მაშინ ველარავინ გადაუშვებს საქონელს, ეხლა-კი, რაკი გინებითა თავდება საქმე, თავს არავინ იდებს. საქონლის გადაუშვებლობას-კი ყველანი დასთანხმდებიან, რადგანაც, ცხადია, რომ არავის ესიამოვნება თავის ვენახის ამოგდება.

*** სენატს უყურადღებოდ დაუტოვებიაო, ამბობს გაზ. „Нов. обоз."-ე საკასაციო საჩივარი თავად ხიდირბეგიშვილებისა, რომელთაც დაჰბრალდათ ერგემლიძის მოკვლა. ხიდირბეგიშვილები ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაამართლა ამ საქმეში, მაგრამ პროკურორის თანაშემწემ საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადაიტანა. პალატამ გადასწყვიტა, აეხადოთ ყოველივე ღირსება ხიდირბეგიშვილებსა და გაიგზავნონ ასტრახანის გუბერნიაში დასასახლებლადაო. აი ამ გადაწყვეტილების შესახები საკასაციო საჩივარი თ. ხიდირბეგიშვილებისა დასტოვა სენატმა უყურადღებოდ, როგორც ამბავი მოვიდა ამ დღეებში.

*** ამ თვის 24 დღეს, პოლიციის მერვე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელი ესტატე დადიევი წაეჩხუბა სპარსეთის ქვეშევრდომს აბრამა ოღლისა და სახლის აივანიდგან გადმოაგდო. აბრამა-ოღლი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავ პოლიციის ნაწილში, გონჩაროვის ქუჩაზე, შავერდოვის სახლში, ამ თვის 23, უეცრად გარდაიცვალა სოფ. მუხრანის მცხოვრებელის არტემ აფრესოვის მეუღლე ქეთევანი, 38 წლისა. მიცვალებულის გვამი შეამოწმეს და ნაძალადევის მკვლელობისა ვერა შეამჩნიეს-რა.

*** 24 ამ თვისას თათრების ვიწრო ქუჩაზე, აზნაურის თუხარელის სახლთან, იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

საბაშიო. თითქმის თორმეტი წელიწადია, რაც გამმიჯნავი „კამისია" მუშაობს საბაშიოში. კამისია ყოველს წლივ ზაფხულობით მოდიოდა და განუწყვეტლივ მუშაობდა ზამთრის პირამდე. ამ დროს განმავლობაში მოსვენება არა ჰქონდა გლეხობასა არა ზოგიერთა მებატონეებისაგან და არა თვით კამისიისაგან, რადგანაც კანონი და განკარგულება ისეთი იყო, რომ ყველა გლეხი, ადგილ-მამულის მქონე უთუოდ უნდა ყოფილიყო კამისიის გვერდით მაშინ, როცა დაიარებოდა რომელსამე სოფელში და ჰმიჯნავდა ადგილებს. კამისიაში ხან-და-ხან ისეთი უქმნიც ერივნენ, რომლებსაც არაფითარი საქმე არ ჰქონდათ გამმიჯნავს კამისიასთანა და გლეხებთან; მხოლოდ ეს კი იყო, რომ ისინი ხშირად შუა-კაცობდნენ ბატონებსა და გლეხებს შორის, როდესაც გლეხების ნასყიდს მიწების თაობაზედ ხელ-მეორედ დავიდარაბა ატყდებოდა ხოლმე. ეს უსაქმონი ორს სიტყვას რომ მებატონისკენ იტყოდნენ, ერთს გლეხისაკენ ამბობდნენ; ამ ნაირად ისინიც მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმეში და ცოტ-ცოტა სარგებლობა ჰქონდათ გლეხებისაგან. ამას გარდა მუქთად, უსასყიდლოდ ქეიფობდნენ და დროსაც ატარებდნენ, რადგანაც ასეთს ქარიანს დასდევდნენ უკან. ამ ნაირს მდგომარეობაში იყო თითქმის ცხრა წელიწადი საბაშიო, მოსვენება აღარ იყო ზაფხულობით.

ამ დროს განმავლობაში დაბა-სოფლებში მუდამ ჟამს ჰყიდდნენ მებატონეები ადგილ-მამულებს; რადგანაც გლეხები ძლიერ ეტანებოდნენ მიწების ყიდვასა და ერთმანეთს ეცილებოდნენ, ზოგიერთი მემამულე ხშირად ორ-სამ თუმნიანს მიწაში ათთხუთმეტს თუმანსართმევდა მამულის მსურველს. გლეხებიც ვალითა და ვახშით შოულობდნენ ფულსა და მიჰქონდათ ნაღდად მემამულესთან. მამულის პატრონები მიიღებდნენ რა მიწების ფულს, უბრალო ქაღალდზედ სწერავდნენ ნასყიდობას, აძლევდნენ გლეხებსა და ეუბნებოდნენ: როდესაც გამმიჯნავი კამისია მოვა შენს სოფელში, შენს ადგილზედ, წარმოადგინე ეს ნასყიდობის ქაღალდი და ყოვლის უარის უთქმელად და უდავიდარაბოდ გამმიჯნავი კამისია შემოყოლნის შენს სახელობაზედაო. ხან-და-ხან ასეც მოხდებოდა ხოლმე. მაგრამ უბედურობა ეს იყო, რომ იმ დროს ხშირად მებატონე არ დაესწრობოდა გამიჯვნასა და იმათ მაგიერად პარპაშობდნენ მოურავები. ამის გამო დაწერილი ნასყიდობის ქაღალდი აღარ ქაღალდობდა და მანამდინ ხუთ მანათს, თუმანს არ დასტყუებდნენ გლეხებსა ან ქარვანის კუდნი, ან თვით მოურავ-მოსამსახურენი, ნასყიდს მიწას ყორღანი არ ეღირსებოდა და ნასყიდობა არ მტკიცდებოდა გლეხის სახელობაზედ.

ვერაფერს მდგომარეობაში იქნება ისევ მერმისსაც გლეხების საქმე საბაშიოში და აი რათა: კამისიამ უკვე გაათავა გამიჯვნა და შეიტყო სოფლებად რაოდენი სახნავ-სათესი უჭირავთ საბატონოსა და სახელმწიფო გლეხს. სოფლის გარედ მთელი დიდი უზარმაზარი მთები და ტყეები დარჩა გასაყოფი ექვსს ნაწილად. ერთი ნაწილი, როგორც წარსულს წლებში გვითქვამს, სახელმწიფოს მიაქვს. ამ მთა-ტყეების გაყოფა უკვე დაწყებულია და ჩქარა გათავდება. გაყოფას შემდეგ თითოეულის მებატონის ნაწილი საკუთრად იქნება შემოზღუდულ-შემოფარგლული და, როგორც თითონ მოისურვებენ, ისე ისარგებლებს ყველა მეპატრონე. საბატონო გლეხები მებატონეებს შეჩვეულები არიან და, როგორც იქნება, მოურიგდებიან და იხმარებენ კიდევ თავის ბატონის ადგილ-მამულს მინდვრადაცა და ტყეშიაც; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ არავინ იცის, ვის ბატონს საით მხარეზედ ერგება მთა და ტყე.

სახელმწიფო გლეხები კიდევ უარესს გაჭირებაში ჩავარდებიან ამ საქმის გათავებას შემდეგ. აქამდის სახელმწიფო კაცი, საცაც უნდოდა, წავიდოდა ტყეში, მოიტანდა შეშას, მასალას შენობისათვის, როდესაც ისურვებდა და მოინდომებდა; ამისათვის იგი წინად, მანამ ეს გამმიჯნავი კამისია დაიწყებდა გამიჯვნას, არაფერს გადასახადს არ იხდიდა. გამიჯვნის დროს იმათაც ცოტა გადასახადი შეაწერეს ტყისა და ამ ცოტა გადასახადს არაფრად აგდებდნენ და იმედი ჰქონდათ მომავლისა. ეს იმათი მომავალი იმედი არაფერი იმედია. იმიტომ-რომ ვინ იცის სახელმწიფოსაც რომელს მხარეს ერგება მთა და ტყე. რასაკვირველია, გლეხები ყველა სოფლისა ერთს მხარეს ვერ ივლიან სახელმწიფო ტყეში მიუდგომელისა და უვერხულის გზების გამო. ძალაუნებურად, იმათაც უნდა მიჰმართონ იმ მებატონეს, რომელსაც ერგება იმათის სოფლის მხარე, აძლიონ გადასახადი, ემსახურონ, როგორც სხვები ემსახურებიან და მხოლოდ ამ პირობით ზიდონ ტყიდამ, რაც დასჭირდებათ. ამ სახით, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ზოგიერთა სახელმწიფო გლეხი შეიძლება მოულოდნელად დროებით საბატონო გლეხად გადიქცეს. ამ ნაირად, რასაკვირველია, რომ თანდათან უფრო დაიხვანჯ-დაიკვანძება ზემოხსენებულის გლეხების ეკონომიური მდგომარეობა. რომ ეკონომიური მდგომარეობა გლეხებისა არ დაუძლურდეს და ულონო არ გახდეს ახლანდელზედ, ჩვენ, ჩვენის მხრით, ვურჩევთ ერთს კეთილს საქმეს, მხოლოდ ეს კეთილი რჩევა არ ასრულდება ვიდრე სახელმწიფო საგლეხო ბანკი არ დაწესდება ჩვენში, ამ ბანკის დ არსებამდინ დიდი დრო და ჟამი

---

ბოძად დაგვისახავს—სწორედ ის ნაწილი დაგვწყლულებია თავიდამ ფეხებამდე ისე, რომ ძნელად საფიქრებელია, მისი გამომთელება ამ საუკუნის კაცს მოესწროს. „ხვრა-ძოგნა", ამბობს ბ-ნი ლელო, აქ ჩვეულებრივი საქმეაო. ალბად ისეთი საქმე ყოფილა, რომელიც არც სამარცხვინოა და არც საშიში. ან-კი რატომ იქნება ეს ხელობა საშიში და სამარცხვინო, როცა ამ ხელობის მიმდევართა აზრით, თვით შემოქმედმა ადამს, მანამ არ გაუჩინა ცოლი, სანამ ერთი გვერდი არ ამოაცალა. მოდით და ასეთის შეხედულებისა და მიხვედრილობის ადამიანი რაშიმე გაამტყუნეთ! არ შეგიძლიანთ, მერწმუნეთ, არ შეგიძლიანთ! ამაოდ დაშვრებით და დაიღალებით! ესეც არაფერი. საქმე იმაშია, რომ ასეთის შეხედულობის კაცნი, მიუხედავად იმისა, რომ ზნეობრივად დაუძლურებულნი არიან, სხვაფრივ ღონე დიდი მოეპოებათ და მაშასადამე მათთან ბრძოლა ჩვენებრ მომაკვდავთათვის ძნელად გასაბედავია. ბრალი ჩვენი, თორემ ბ-ნ ლელოს, თუ ფსევდონიმის შესაფერად ძლიერია, არა უშავს-რა *).

ბ-ნმა ლელომ სხვათა შორის ისიც გვაუწყა, რომ დარჩიას სახელით ბევრი ავ-კაცობს და ყაჩაღობსო, ხოლო ჩვენ ის-ღა დაგვრჩენია, რომ ეგ ნათქვამი მაგალითით დავასაბუთოთ: ამას წინად სოფელ ლანჩხუთში ერთს საწვრილმანო დუქნის პატრონს, გვარად ბესიეშვილს ღამით თავს დაესხნენ ცრუ ყაჩაღნი და, რაც ებადა, ყველაფერი წაართვეს. საუბედუროდ ბესიეშვილმა ერთი მათგანი იცნო (თავის მეზობელს როგორ ვერ იცნობდა?) და გულ-დათუთქულმა უთხრა თურმე: შენ მაინც არ უნდა ჩამდგარიყავ ჩემს ლალატშიო.

— მე შენ ვინ გგონივარო? შეჰბღვირა ავაზაკმა და იმის შიშით, რომ რაკი მიცნო, გამცემსო, გაუმეორა:

— ვინ გგონივარ მე? განა დარჩია არა ვარო? ამ სიტყვებთან ერთად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასთხლიშა თავში თოფის კონდახი საცოდავს ცოლისა და წვრილ შვილის პატრონსა და იქვე სული გააყრევინა. ამ საშინელის სანახავის გამო მიცვალებულის ცოლმა კივილ-წივილი შეჰქმნა. კივილ-წივილზე მთელი სოფელი ფეხზე დადგა. მთავრობის წარმომადგენელთაც გაიგეს და საქმეს შეუდგნენ. ბევრი ლარი და ხაზიც არ დასჭირებიათ დამნაშავეთა აღმოჩენისათვის. უბედურის მსხვერპლის ცოლმა თითოეული მათგანი დაასახელა. მის მიერ დასახელებულნი მაშინვე დააპატიმრეს და საპყრობილეში უკრეს თავი. ეს იყო და ეს. ამას შემდეგ, რაც მოხდება, გამოძიება დაგვანახვებს.

„მგელს მგლობა შეეთქვა და ტურამ-კი ქვეყანა ამოაგდოვო", თუ გინდათ ეს არის.

**

აქედამ, თუმცა არაფრად მოხერხებულია, მაგრამ ისეთს საგანზედ უნდა გადავიდე, რომლის გამო ლაპარაკის ჩამოგდება აუცილებელ საჭიროებად დამისახავს. ესეც რომ არ იყოს, მე თვიურის მიმოხილვის მწერალი გახლავართ და მაშასადამე არეულ დარეულობა, სხვა-და-სხვა საგნის გამო საუბარი, ვგონებ, მომეტევება.

მოგეხსენებათ ჩვენს ახალგაზრდა ნასწავლს მანდილოსნებს (უკაცრავად, „შლიაპოსნებს") ხშირად უკიჟინებენ ხოლმე სხვა-და-სხვა მხრიდამ უარარაობასა და ქარაფშუტაობას. უნდა გამოვტყდე, ასეთი კიჟინი მეც საფუძვლიანი მგონია იმ განსხვავებითკი, რომ ნახევარი ბრალი ამ დანაშაულში მშობლებმა უნდა იტვირთონ. რატომ? იმიტომ, რომ მშობლები თავიანთ ქალებს იმისთანა სასწავლებელში აბარებენ, სადაც ნამდვილად იციან, რომ შვილები გაუქარაფშუტდებათ. ჩვენში ხომ ხშირია ამისთანა სასწავლებლებში კურს-დამთავრებული ქალები, რომელნიც არც მშობელთა ოჯახისთვის არიან გამოსადეგნი და არც ქმრის ოჯახში აკეთებენ რასმე. ახე გასინჯეთ, ღვიძლშვილებსაც თავიანთ ძუძუს არ აღირსებენ. ეს ქალები, რომ საბებიო ინსტიტუტში აღზრდილიყვნენ, ჩემის აზრით, სულ სხვა იქნებოდა. მაგრამ ეს სასწავლებელი ისე ათვალწუნებულია ჩვენგან, რომ იქ ჩვენებურს მოსწავლე ქალს, რაც უნდა ეცადოთ, ვერ იპოვით ჩვენში ძნელი და საფრთხილო საქმე ბებიაობისა ისეთ ბებრუცანების ხელშია, რომელთაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, ყურთა სმენა და თვალთა ხედვა არ მოეპოვებათ. როცა რომელსამე ოჯახში ქალი დაბერდება, დაუძლურდება, გატყდება და სხვა საქმეს ვერაფერს შეიძლებს, მაშინვე ბებიაობას დაიწყებს; ამის გამო, ვინ იცის, რამდენი უბედურება მოხდება ხოლმე. ვინ ადგენს იმის ნუსხასა და ვინ აქცევს იმას ყურადღებას, თუ ბებია ქალთა უვიცობით რამდენი ქრისტიანი სული იღუპება ჩვენს დაბა სოფლებში! რომელი სენი და მოარული შეიძლებს, იმდენი ზარალი მოგვაყენოს, რამდენიც ამ გარემოებას მოაქვს. ეხლა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, რამდენად უმჯობესი იქნებოდა, რამდენის მხრით სასარგებლო იქნებოდა, რომ ეხლანდელ „განათლებულების" მაგიერ საბებიო ინსტიტუტში კურს-დამთავრებული ქალები გვყოლოდა! აი, იმათ ეცოდინებოდათ ოჯახისა და ქმარ-შვილის ყადრი თავის დანიშნულების შეგნება და დაფასება. ასეთი ქალი სოფელში იქნებოდა, თუ დაბაში, ყოველგან პატივსაცემი გახდებოდა, რადგანაც არა მცირე სარგებლობას მოუტანდა თავის სოფლის მკვიდრთ. მაგრამ საქმე იმაშია და ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ბებია-ქალობა ბებრების საქმედ აღიარებულა ჩვენში და რა საკადრისი იქნება, რომ ბებრების საქმე ახალ-გაზრდებმა იკისრონ! მაშინ ხომ „კავალერთა" რიცხვი შეუმცირდებათ, „სატანცი-მანცოდ" ველარ მოიცლიან და ამას ხომ მათი ნაზი და ნარნარი აგებულება ვერ აიტანს, ვერ გაუძლებს!

დათიკო ვერმიცანაშვილი

*) ლელო ლათინური სიტყვაა და ქართულად ლომს ჰნიშნავს.
ავტ.

არ გაივლის. ამიტომ სასურველია, რომ გლეხები ეხლავე შეუდგნენ თადარიგსა და, ბანკიდგან გამოტანილს ფულს გარდა, თითონაც წინდაწინვე მოამზადონ ფული; მისცენ ერთმანეთს მხარი და საზოგადო ძალითა და ღონით იყიდონ ტყე და მინდვრები მემამულეთაგან; მემამულენიც თავიანთ წილს ტყეებს გაჰყიდიან, კარგს ფასს აიღებენ, თითონაც ისარგებლებენ და გლეხობას ხომ სამუდამოდ გაახარებენ და გააძლიერებენ ეკონომიურად. ჩვენ რაც ზემოდ ვსთქვით და ვილაპარაკეთ, შეეხება იმიერს საბაშიოს. გადმოვიდეთ ახლა ამიერს საბაშიოში და ორიოდე სიტყვით აქაურს გლეხობასაც მივმართოთ. მიკვირს, აქაური გლეხობა რად იქცევა ცოტა უზრუნველად, დაუდევრად და არ ჩქარობს, დაისაკუთროს ის ადგილ-მამული, რომელიც მებატონესაგან აქვს საკომლოდ, „ნადელში" მიცემულ მიზომილი? ნუ თუ ყოველ წლიურად მეოთხედის ძლევას, სამსახურსა და მორჩილებას მემამულისას რჩეობენ ისევ? უმჯობესი არ იქნება, აქაც ერთმანეთს მხარი მისცნენ, ფული შეაგროვონ, რაც დააკლდეთ ისესხონ ხაზინიდამ, ადგილები შეიყიდონ დაისაკუთრონ და სამუდამოდ განთავისუფლდნენ მემამულეებისაგან? ჩვენ, ჩვენის მხრით, გვგონია, რომ თუ ეხლავე არ შეუდგნენ თადარიგსა და არ დაისაკუთრეს მამულები, შემდეგ უფრო ძვირად დაუჯდებათ, იმიტომ რომ დღეს თუ არა ხვალ უთუოდ აქეთურს სოფლებს მოედება ზაფხულობით დღემდე სურამში მოსიარული აგარაკის ხალხი და ადგილებიც უფრო გაძვირდება. ამას გარდა, ამბობენ კიდევ, რომ ახალი სადგური „ვარვარინოდგან" ბორჯომისაკენ გზა-ტკეცილი გაჰყავთო და თუ ღმერთმა ჰქმნა და ეს ხმა გამართლდა, მაშინ ხომ ამ სადგურის ახლო-მახლო მდებარე ადგილების ფასი ერთი ორადა და ერთი სამად იმატებს და აქაც გლეხობას გაუჭირდება შემდეგ ყიდვა მამულებისა. ორი სიტყვა კიდევ. ამიერს საბაშიოში, როგორც ჩვენ ვიცით შვიდ-რვა სოფელში სასოფლო ბეღლებია გამართული პურისა და სიმინდისა და თითქმის ათი თორმეტი წელიწადია რაც მოქმედებს. როგორც ჩვენ ვიცით და გვეყურება, ბეღლებში დიდძალი ჭირნახული მოგროვილა თურმე; მაგრამ უთაურობითა და დაუდევნელობით ამოდენი სიმდიდრე დღეს თითქმის სრულიად არა სჩანს; გაუსესხებ-გაუვალებიათ და არ იციან, ვის რამდენი წაუღია და ვის რამდენი. ამბობენ, ბეღლებს ფულიც ჰქონდათ და ეს ფულები უთამასუქოდ და უქაღალდოდ არის გავალებული და მიფანტულ-მოფანტული გლეხებშიო. კარგი იქნებოდა, რომ ამ ბეღლების გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს ვინმე, თუნდა მაზრის უფროსი, და ბეღლების ანუ პურისა და სიმინდის მაღაზიის საქმეს გაარკვევდეს, რათა მით ერთხელ და სამუდამოდ წესიერს კვალში ჩავარდეს ამ საქვეყნო დაწყობილების ვითარება.

საბაშიოელი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „С.-Пет. Вѣд."-ში დაბეჭდილია ორიოდე ადგილი ე. ნეიგომის წიგნიდგან, რომელსაც ეწოდება „ქვეყანა დეფიციტისა". მოგვყავს ამ ამონაბეჭდიდგან ერთი ანეგდოტი იმის შესახებ, თუ იტალიელები როგორ უღლავდნენ გულს თავის მოკავშირე გერმანელებს ფრანგულის ლაპარაკით:

როცა კრისპი პირველად ჩამოვიდა ბერლინში, ბენნიგსენმა, ლანდტაგის პრეზიდენტმა, იტალიის მინისტრის პატივსაცემლად გამართულს სადილზედ სადღეგრძელო წარმოსთქვა და განაცხადა: „ვსვამ სადღეგრძელოს იმის ნიშნად, რომ აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეა გერმანია და იტალია მეგობრულად ხელი-ხელს ჩაკიდებული სცხოვრებს ერთად და ერთმანეთს უზიარებს თავის ცივილიზაციასაცა და ზნეობრივს ინტერესებსაცაო.

მაშინ კრისპიმ აღმართა ჭიქა და სადღეგრძელოს შემდეგის სიტყვებით მიეგება:

— თქვენი ენა, ბატონებო, ენაა გიოტესი, ჩემი-კი — ენა დანტესი, რომელმაც ცუდი პაპები ჯოჯოხეთში შთაყარა, ყოვლად სამაგელ უმაქნისნიკი — ცოდვათაგან განსაწმენდელში. მაინც-კი უნდა გთხოვოთ, რომ ნება მომცეთ ფრანგულად ლაპარაკისა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეათამაშა ცხვირზედ უშველებელი სათვალეები გერმანიის რეიხსტაგისა და პრუსიის ლანდტაგის შესანიშნავმა წევრებმა, რომელნიც-კი ამ სადილზედ დაესწრნენ.

შეათამაშეს-კი სათვალეები, მაგრამ იმათს უსიამოვნებას ამით არ მოჰკლებია ბოლო. ბ-ნმა დე-ლონემ, იტალიის ბერლინელმა ელჩმა, ბისმარკმა სადღეგრძელო დალია და სთქვა:

— ნება მომეცით, ბატონებო, ჩემი სიტყვა, ისე დავიწყო, როგორც გრიმის ერთი არაკი იწყება. იყო და არა იყო-რა, იყო მადრიდში ერთი ნიდერლანდელი ელჩი. ამ ელჩმა მოიწადინა ისპანიურს ენაზედ ლაპარაკი და შუა სიტყვაზედ შეჩერდა; მოიშველია ახლა ფრანგული ენა, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ ჩემს მსმენელებს ამ ენისა არა გაეგებათ-რაო, ისევ თავისს სამშობლო ენას მიჰმართა. მეც იმ ნიდერლანდელ ელჩსავით, ბატონებო, მეორე დონის-მიებას ვიხმარებ და ნებას ვითხოვ, რომ... ფრანგულად ლაპარაკის ნება მომცეთო.

განა ამ დიპლომატთა კრებაზედ სასაცილო იქნებოდა-და რამე: თავი მოეყარათ ერთად, შეკრებილიყვნენ, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ გეგმა რამ შეედგინათ და მოელაპარაკნათ, და თავისის აზრის წარმოსათქმელ იარაღად-კი ფრანგულსავე ენასა ჰხმარობდნენ!

იტალიელს, მართალი რომ სთქვას ადამიანმა, სულ ორი ენა აქვს სამშობლო: იტალიური და ფრანგული.

**

გაზ. „Гражданин"-ში ერთი ახირებული წერილია დაბეჭდილი ვიღაც უაზანელისა. ეს ბატონი იმ აზრისაა, რომ კარგი იქმნებოდა, რუსეთშიაც შემოეღოთ, ისე როგორც საფრანგეთშია, წვრილი ფული, უფრო წვრილი ეხლანდელზედ. საფრანგეთში მანეთისა და კაპეიკის ადგილი ფრანკსა და სანტიმს უჭირავს და ამიტომ ფრანგი იმდენად ხელ მომჭირნეა და დამზოგველი, რამდენადაც ფრანკი და სანტიმი ღირებულობით უფრო ნაკლებია მანათსა და კაპეიკზედ.

რუსეთში არამც თუ დიდის ვაჭრობის დროს, არამედ მცირე აღებმიცემობაშიაც-კი ხშირად ყურადღებას არავინ აქცევს, აინუნში არავინ იგდებს თვით უუმცირეს წვრილს ფულს — კაპეიკს; ფრანგისათვის-კი ოთხს სანტიმს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ანგარიშის დროს, რომ შეიძლება ერთი სანტიმი არაფრად ჩააგდოს, მაგრამ ოთხი-კი ძნელად თუ ადვილად დასთმოს. რაც ჩვენ კაპეიკობით გვეკარგება, ის რომ სანტიმობით გვეკარგებოდეს, დიდს მოგებაში ვიქნებოდით: ჩვენის უარაროდ ხელიდგან წასული ფულის რაოდენობა ერთი ოთხად შემცირდებოდა. რუსეთში ძნელად თუ ვინმემ იყიდოს რამე ნახევარის, ან მეოთხედის კაპეიკისა, მით უმეტეს, რომ ამ ფასის ფული იშვიათად საპოვნელია და მრავლად არ დადის ხალხში, საფრანგეთში-კი, პირ-იქით, ძალიან ხშირი ამბავია, რომ ფრანგი ერთისა და ორის სანტიმით ვაჭრობდეს და აღებ მიცემობდეს.

წერილის ავტორი რომ აქ შემდგარიყო და ამას იქით აღარ წასულიყო, კიდევ არა უშავდა-რა. მართლაც და რუსეთში თუმცა არსებობს ფული ½ და ¼ კაპეიკიანი, მაგრამ ამ ფულს ისე მცირედ აჭედებენ, როგორც ვერცხლის შაურიანსაც, რომ ძნელად თუ საგანგებოდაც არის მოსძებნოს სადმე ადამიანმა; საფრანგეთში-კი ანგარიში სანტიმებზეა დაფუძნებული, ოთხი იმათი სანტიმი ერთს ჩვენს კაპეიკს შეადგენს, ხოლო ავტორს ეს არ უკმარია და ფინანსთა მინისტრს ურჩევს, რომ ახალი ფული შემოიღეო:

კარგი იქმნებოდა, რომ რუსეთშიაც, საფრანგეთსავით, 25 კაპ. მოიჭრას და განსაკუთრებული სახელი ეწოდოს, მაგალითებრ, „როსსი". ერთი „როსსი" ათ „დესიატკად" უნდა სწორდებოდეს, ან ას „სოტკად". ამ გვარად ერთი მანეთი დასწორდება 4 როსსად, ანუ 40 დესიატკად, ანუ 400 სოტკად; სამს როსს ექნება 30 დესიატკა, ანუ 300 სოტკა; ორ „როსს" 20 დესიატკა, ანუ 200 „სოტკა" და სხ.

ჰკითხეთ ერთი ამ „პროექტების" შემდგენელს, რა საჭიროა რაღაც ახალ დესიატკისა და სოტკის შემოღება, როცა წვრილი ფული რუსეთში ათადან ბაბადან უკვე არსებობს და თავისი სახელებიცა ჰქვიან? ან თუ არა-და ხუთ შაურიანის შესახებ ლაპარაკის დროს რად ავიწყდება რუსეთის აბაზიანი, სამ შაურიანი, უზალთუნიანი, შაურიანი, სამ-კაპეიკიანი, ორ-კაპეიკიანი და სხვა. ესეც ვთქვათ არაფერი. თუ შეუძლებელია, ხუთ შაურიანს „როსსი" რად უნდა ვუწოდოთ, როცა ამ ფასის ფულს რუსულად თავისი სახელი აქვს, „ჩეტვერტაკი" და ამ სახელს ჯერ არავისათვის არა დაუშავებია რა? ასეთი უმიზეზო წყრომაც გაგონილა? უაზანელის წერილი, ფინანსთა მინისტრთა მიმართული, სწორედ საცრით წყლის ამოღებასა ჰგავს, თუმცა-კი ისიც სათქმელია. რომ „Гражданинъ"-ის რომელი წერილი არა ჰგავს საცრით წყლის ამოღებას!..

---

## რუსეთი

უუწ. სინოდმა ცალკე კომისია შეადგინა და მიანდო იმის პროექტის შედგენა, თუ რა ნაირად შეიძლება ბრძოლა ხალხში გავრცელებულ ლოთობისა და მათხოვრობის წინააღმდეგ. უმთავრესი ყურადღება კომისიამ იმ ღონისძიებათა პოვნასა და გამოკვლევას უნდა მიაქციოს, რომ ხალხს როგორმე მოაშლევინოს ლოთობა ბაზრობისა, დღეობისა და ქორწილების დროს.

— ფინანსთა მინისტრმა თავის მოხსენება წარადგინა სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ კომიტეტი დაარსდეს უცხო სახელმწიფოებთან საავაჭრო და აღებ-მიცემობის განსაგებლად.

— მომავალის წლიდგან შეუდგებიან იმ მამულების გამიჯვნას, რომელიც გლეხებს თავის საკუთრად შეუძენიათ.

— რამდენსამე პეტერბურგელს ქველმოქმედს კაცს განზრახვა აქვს, შეადგინონ ამხანაგობა და დიდი თავ-შესაფარი სახლები გამართონ, სადაც პეტერბურგში მყოფს უბინაო შეუძლებელს ხალხს, იმისდა მიუხედავად, პეტერბურგელი იქნება, თუ სხვაგნიდგან მოსული, შეეძლება, ღამ-ღამობით ბინა იქონიოს ხოლმე და აგრეთვე სასმელ-საჭმელიც რაც შეიძლება იაფ-და მცირედ ფასად.

— ადრევაც გვქონდა ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ პოლშიდგან ხალხმა ძლიერ მოუხშირა ამერიკაში გადასახლებაო. ეხლა უფრო მომეტებული იბრძვის საზღვარ გარედ გადასასახლებლად. „Нов. Вр."-ს ვარშაველ კორესპონდენტის სიტყვით, მხოლოდ ორის სააგენტოდგან, რომელიც საზღვარზე კარგად მოშორებულს მაზრაშია, 3500 კაცს აუღია სამგზავრო ბილეთი ლისაბონამდე. სხვა პრუსიის საზღვარზე მდებარე ქალაქების სააგენტოებში უფრო უარესი არისო. გადასახლების სურვილი ყველაზე ძლიერ პლოცკის გუბერნიაშია მოდებული. ადგილობრივი ვიცე-გუბერნატორი მოგზაურობს ხსენებულს გუბერნიაში იმ აზრით, რომ ახსნა-ჩაგონებითა და ან სხვა რაიმე ღონისძიებით ხალხი შეიკავოს, მაგრამ ჯერ ვერაფერი ვერა გაუწყვია. პოლშის ჟურნალ-გაზეთები ისე დააფიქრა ამ გარემოებამ, რომ ზოგიერთმა რედაქციამ თავისი საკუთარი კორესპონდენტები გაგზავნა საზღვარ-გარედ, რომ დაწვრილებით შეიტყოს გადასახლებულების ამბავი, ან ბრაზილიის რომელს ადგილს მიდიან და ან როგორ ეწყობიან. ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ გადასახლების მსურველი გლეხები კაცებს ჰგზავნიან ბრაზილიაში ამბის კარგად გასაგებად და გზის ხარჯს თხუთმეტ-თხუთმეტ თუმანს აძლევენ. გადასახლების ასეთის გახშირების მიზეზად უფრო უმამულობას ასახელებენ.

— თოთხმეტ ოქტომბერს ოდესაში მისულან სტრიჩოკი კოჩმარი, პარიჟის საიდუმლო პოლიციის მოხელენი. ესენი ერთს პარიჟელს მებანკეს გამოუგზავნია თავის მოურავის დანიელ გაუსმანის დასაჭერად, რომელსაც 30 ათასი მანათი უგდია ხელში თავის პატრონისა და გაუკრავს და დამალულა. მებანკეს გაუსმანი ბორდოში გაუგზავნია და ფული გაუტანებია იქაურს მემამულეებთან გასასწორებლად წამოღებულს ჰარხალში, მაგრამ გაუსმანს ყალბი პასპორტი უშოვნია და ოდესისაკენ წამოსულა. ოდესაში თავის ნაცნობებს შეჰხვედრია, რომლებსაც ადრევე ჰქონიათ დეპეშით პრაგიდგან შეტყობინებული ეს საქმე. გაუსმანი მიმხვდარა ამასა და დროზედ წასულა ოდესიდგანაც. საიდუმლო პოლიციის აგენტები სტრიჩოკი და კოჩმარი რუმინისკენ გაემგზავრნენ, რადგანაც შეიტყეს, გაუსმანი იქით წავიდაო. სხვაგანაც აქეთ-იქით დეპეშებია გაგზავნილი, რომ თვალი ეჭიროთ და თუ სადმე მოასწრობენ, შეიპყრონ გაუსმანი.

---

## წვრილი ამბები

დრამა

ამას წინად ამერიკაში ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ნამდვილი დრამაა და გობორიოსებურს მოთხრობას მოაგონებს კაცს. ანნ-უეცელის მაზრის უფროსს ვეისს წარსულს წელიწადში გაუცვნია რკინის გზის ინჟენერი რომი. რომის დაუწყია სიარული ვეისის სახლში და ძლიერ დაახლოებია იმის ცოლს. ამ დაახლოვებას თავის შედეგი — შეყვარება მოჰყოლია, მაგრამ აბა რას იზამდნენ თურმე შეყვარებულნი: რაკი ქალს კანონიერი ქმარი ჰყავდა, შეუძლებელი იყო მათი დაქორწინება. ამ გაჭირვებაში მყოფთ შეყვარებულებს გადაუწყვეტიათ, ვეისი როგორმე მოვიშოროთ თავიდგანაო. რომი წასულა ისპანიაში და ქალი თავის საქმეს შესდგომია: ცოტ-ცოტა დარიშხანას ურევდა თურმე ქმრის საჭმელ-სასმელში და ნელ-ნელა ულებდა ბოლოს იმის ჯან-მრთელობას, რომ უეცარის სიკვდილის გამოჰწვი არავისთვის არ აღებინებინა. მაგრამ ვიდრე ქალი თავის საწადელს შეასრულებდა, ვეისის თანაშემწეს ვიკონტს გამოუაშკარავებია ბოროტ-მოქმედება. ვიკონტი იმ თავითვე ეჭვის თვალით უცქეროდა ვესის ხანგრძლივს ავადმყოფობასა და არაფრად მოსდიოდა თვალში, რომ მკურნალები ვერას აწყობდნენ ვეისის რაღაც ჩუმს სენთან. ერთს საღამოს ვიკონტი მისულა ვეისისას. ავადმყოფი ქმარი ტახტზედ წოლილა და ცოლი-კი აქვე, პატარა სტოლთან. ვიკონტს დაუწყია ოთახში სიარული და ვეისიან ლაპარაკი გაუბამს. ცოლი ლაპარაკში არა რეულა, თავისთვის ცალკე მჯდარა და რაღაც ბარათის წერაში ყოფილა გართული. ვიკონტს შეუნიშნავს ქალის მკაცრი სახის გამომეტყველება, გაჰკვირებია, რა ამბავიაო, ჩუმად თვალი გადაუკრავს ბარათისათვის და ერთს ადგილას შემდეგი ამოუკითხავს: „საწამლავი მთლად დამეხარჯა. ბავშვის ფეხსაცმელებში ჩასდე და გამომიგზავნე". ვეისი კედლისკენა ყოფილა გადაბრუნებული და ვერ შეუმჩნევია, როცა ვიკონტი უეცრად აღელვებულა ამ საზიზღარის ამბის შეტყობით. ვიკონტს თავი შეუკავებია, აღელვება დაუფარავს, რომ უფრო ადვილად გაეგო ყველაფერი, მაგრამ მტკიცედ კი გადაუწყვეტია, რომ ეგ წერილი ხელიდგან არ უნდა გაუშვაო. ქალს ბარათი პაკეტში ჩაუდვია და თითონ კარში გასულა. ვიკონტს უდროვნია, ის წერილი თავისთვის შეუნახავს, მეორე პაკეტში უბრალო ქაღალდი ჩაუდვია და სტოლზე დაუგდია. როცა ქალი შემობრუნებულა, ვერაფერს მიმხვდარა, აუღია და ადრესი იმ მეორე პაკეტზე დაუწერია. ვიკონტს ამის წაკითხვაც მოუხერხებია ჩუმად. როცა ვიკონტი თურმე დაბრუნებულა სახლში, წაუკითხავს

მოპარული წერილი და უკეთური შეუტყვია, გაუგია, რომ ცოლი უღალატებდა ქმრის მოღალატე, იმის ავადმყოფობის მიზეზი, და თუ ეხლა ამას შემთხვევით არ აღმოეჩინა დაფარული ბოროტება, კვისი ადრე თუ მალე მსხვერპლი უნდა გამხდარიყო ცოლის ღალატისა. ვიკონტმა არც აცივა, არც აცხელა, და მაშინვე დეპეშით შეატყობინა საქმის გარემოება ორანის პრეფექტს. პრეფექტსაც თავის მხრივ ჯეროვანი განკარგულება მოუხდენია და მეორე დღეს კვისის სახლში ბრალმდებელი მოვიდა სასამართლოდგან კვისის ცოლის შესაპყრობად და დასაპატიმრებლად. კვისის ცოლი უარზე დადგა, მე არაფერი დანაშაული არა მიმიძღვის-რაო, და თან ოხუნჯობაც სცადა ბრალმდებელის წინაშე ამ მოულოდნელის ცილის-წამების გამო. ბოლოს უთხრა ბრალმდებელს, პატარა ხანს მოითმინეთ, ტანისამოსი უნდა ჩავიცვაო და სხვა ოთახში შევიდა. ტანისამოსის ჩაცმის მაგიერ ქალმა ბლომად საწამლავი დალია, პატარა მოიცადა და, როცა საწამლავი კარგად მოერია, გამოვიდა და უთხრა: „ეხლა-კი შეგიძლიანთ, დამაპატიმროთ“. საწამლავმა მუხლი მოსჭრა. ქალი ჩაუვარდა ქმარს ფეხ-ქვეშ და შებრალება და პატიება სთხოვა. ქმარმა მკაცრად დაუყვირა, მომშორდი შე საზიზღაროვო, ხელი ჰკრა და იქით გადააგდო. ქალმა სული დალია.

ქალის საყვარელს, რომის, რომელიც ქალის თანამოზიარე იყო ბოროტმოქმედებაში, პოლიცია გაფაციცებით დაეძებს. ამბობენ, რომიმ ჯერ ამ საქმისა არა იცის-რა და მალე დაბრუნდა თავის საყვარლის სანახავადაო.

კვისმა სიყვარულით შეირთო თავისი მოღალატე ცოლი და იმის გულისთვის აფიცრობასაც თავი დაანება, რადგანაც აფიცრებს მთავრობა ცოლის შერთვის დროს სათავდებო ფულსა ჰთხოვს ხოლმე და კვისს-კი შეძლება არა ჰქონდა, შეეტანა. კვისს ორი შვილი ჰყავს. როცა ცოლის გვამი გასჭრეს, ორსული აღმოჩნდა მესამე შვილზე.

◆◆

# დეპეშა

25 ოქტომბერი

ვენა. მემკვიდრე ცესარევიჩმა სთხოვა, ნუ მიეგებებიან მას ოფიციალურად, როცა გაივლის ავსტრიის სამზღვარს. ამისთვის სამხედრო საპატიო ამალა ჩაჯდა პრერაუში კარის მატარებელში

ვენა. „Fremdenblatt“-ი თავის მეთაურ წერილში სწერს, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის ყოფნას ავსტრიაში არა აქვს პოლიტიკური საგანი და ამტკიცებს, რომ მეგობრული კავშირი სუფევს ორთავე საიმპერატორო სახლეულთა შორის. „ამისათვის, დასძენს გაზეთი, ერი უქმერის ცესარევიჩის აქ ყოფნას, როგორც სანუგეშო ნიშანს. ყველამ იცის, რა მომხრეა მშვიდობიანობისა პეტერბურგის კარი. იმპერატორი ალექსანდრე ნამდვილი რუსია, მუდმივ იმის ზრუნვაშია, რომ დაიცვას მშვიდობიანობა, ამისთვინაც ასე ძალიან უყვარს ერსა თავისი ხელმწიფე. თუ რა დიდათ პატივსა სცემენ იმპერატორს აქაურ გავლენიან სფეროებში, დაამტკიცეს იმ თანაგრძნობით, რომელიც გამოუჩინეს მის შვილს. მემკვიდრე ცესარევიჩიც დარწმუნდება, რომ აქაც სურს ერსა მშვიდობიანობა და სხვა არაფერი; ხალხი მონატრულია მყუდროებასა და კეთილდღეობასა. მემკვიდრე ცესარევიჩი ცხადათ დაინახავს ამას, როცა იხილავს დიდ სავაჭრო დაწესებულებათა“.

## პეტერბურგის ბირჟა, 22 ოქტომ.

| | მყიდველებისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 63 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 132 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | 1 10 | — |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $220^1/_2$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | $211^3/_4$ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | $210^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილის ჯადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „**ნობათი**“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება სასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიგხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2** მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას წაამბობი, ისტორიული პ ემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკი ხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

---

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

ქირურგი ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესაყარში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—8)

---

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმისათვის:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმისათვის“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—47)

---

ЕЖЕДНЕВНО БЕЛЛЕТРИСТИЧЕСКІЕ ФЕЛЬЕТОНЫ.

# „НОВОСТИ ДНЯ“

## ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА

### СЪ ПОРТРЕТАМИ ГОСУДАРСТВЕННЫХЪ И ОБЩЕСТВЕННЫХЪ ДѢЯТЕЛЕЙ.

Изданія годъ девятый.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

**1891** ГОДЪ

ОТКРЫТА ПОДПИСКА.

Развитіе газеты „Нов Дня“ всегда шло рука объ руку съ возростающимъ успѣхомъ газеты. За послѣднее время въ этомъ смыслѣ сдѣлано весьма много. Размѣръ газеты значительно увеличенъ противъ прежняго, при чемъ подписная цѣна осталась безъ измѣненія. Въ общемъ, всесторонняя полнота содержанія и богатство беллетристическаго матеріала, помѣщаемаго въ „Новостяхъ Дня“, дѣлаютъ газету одинаково интересной, какъ для столичныхъ, такъ и для провинціальныхъ читателей. Въ настоящее время редакція, кромѣ того, озаботилась приглашеніемъ спеціальныхъ корреспондентовъ въ Петербургѣ и въ большинствѣ провинціальныхъ городовъ, съ цѣлью дать читателямъ своевременныя и полныя свѣдѣнія о важнѣйшихъ фактахъ законодательной хроники и общественной жизни. Съ этою же цѣлью редакція, въ дополненіе къ телеграммамъ „Сѣвернаго телеграфн. агентства“, ввела отдѣлъ собственныхъ телеграфныхъ сообщеній.

За истекшее время помѣщено множество портретовъ Высочайшихъ Особъ, государственныхъ и общественныхъ дѣятелей, писателей, композиторовъ и музыкантовъ, ученыхъ, артистовъ и проч.

Между прочимъ, изъ беллетристическихъ произведеній помѣщены были слѣдующіе романы, повѣсти и разсказы: **Драма на охотѣ** *А. П. Чехонте* **Никифоръ Геркулесовъ и Вѣрный способъ**, очерки *П. М. Невѣжина*. **Безприданница и дама самъ-третей**, романъ *С. В. Голицина*. **Въ лунную ночь**, этюдъ *И. Н. Ге*. **Первый урокъ**, повѣсть *Ив. Н. Лодыженскаго*. **На литературныхъ хлѣбахъ**, очеркъ *Вл. Ив. Немировича-Данченко*. **Отецъ**, ром. *К. В. Назарьевой*. **Въ заколдованномъ кругѣ**, повѣсть *Е. О. Дубровиной*. **Ирина Калугина**, романъ *А. И. Лемана* и мн. другихъ. Изъ переводныхъ: **Сафо**, романъ *Алфонса Доде*. **Прелести жизни**, романъ *Эмиля Зола*. **Фальшивый монетчикъ**, пов. *А. Дюма*. **Изъ окна въ окно**, новелла *Захеръ-Мазоха*. **Дѣло Греллу**, романъ *Поля Буржэ* и мног. друг.

Въ 1891 году также будетъ помѣщено нѣсколько беллетристическихъ произведеній извѣстныхъ писателей.

*Къ свѣдѣнію публикующихъ: „НОВОСТИ ДНЯ“ печатаются въ большомъ количествѣ экземп., при чемъ кругъ читателей постепенно расширяется. Публикація, которая вообще есть двигатель торговли, вполнѣ достигаетъ, такимъ образомъ, своей цѣли, такъ какъ останавливаетъ на себѣ вниманіе большаго контингента читателей изъ различныхъ общественныхъ слоевъ.*

### Подписная цѣна на 1891 г.

| | На 12 м. | На 11 м. | На 10 м. | На 9 м. | На 8 м. | На 7 м. | На 6 м. | На 5 м. | На 4 м. | На 3 м. | На 2 м. | На 1 м. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| Съ доставк. въ Москвѣ. | 8 — | 7 50 | 7 — | 6 50 | 6 — | 5 50 | 5 — | 4 50 | 3 70 | 2 90 | 1 90 | 1 — |
| Съ пересылк. въ города . | 9 — | 8 50 | 8 — | 7 — | 6 50 | 6 — | 5 50 | 5 — | 4 — | 3 — | 2 — | 1 — |
| Съ пересылк. за границу. | 13 — | 12 90 | 12 — | 10 90 | 9 70 | 8 80 | 7 90 | 6 70 | 5 60 | 4 70 | 3 — | 1 60 |

**Объявленія**—25 к. за строку на первой страницѣ и 12 к. на послѣдней; стороннія сообщенія въ концѣ текста газеты—50 коп. за строку.

Для иногороднихъ **годовыхъ** подписчиковъ допускается разсрочка

**ПО 3 РУБ.**

въ три взноса: первый—при подпискѣ, второй взносъ—къ 1 апрѣля и послѣдній—къ 1 іюля.

Адресъ: **Москва, Мясницкая, д. Сытова, контора газ. „Новости Дня“.**

*Ред.-Изд* **А. Я. Липскеровъ.**

(3—1)

Доз. цен. Тифлисъ, 25-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ